


№ 2

საოხუნჯო კარიკატურებიანი ჟურნალი

№ 2


ჩვენი ჟურნალი ვერ იბეჭდება ისეთ ქალაქზე და ისეთი ფორმატისა, როგორც საჭირო არის, რადგან მომარაგების სამინისტროსაგან ჯერ ჯერობით ქალაქი ვერ მივიღეთ, როგორც ყველა ჟურნალ-გაზეთები ღებულობენ. იმედი გვაქვს მალე ეს ნაკლი გამოსწორდება, მანამდე კი იძულებული ვართ კერძოთ ძვირ ფასებში ვიყიდოთ ქალაქი.

55757
F/L 11350



ლ.ბ.

აჭარელი.—ჰეი და ძიავ! გლახათაა ჩემი საქმე. ეს აულოყუდა ისე მიჭერს კისერში ხელს, რომ მაგას ველარ გავეჭვევი. ფეხზე მეწევი, წამოდები ეტლი ამ ახმახს ეცი ფეხში, ეს მიჭივრებს შემოვირეკავ.



ეროვნული
ბიბლიოთეკა
საქართველო

„ხათაბალა“ სიმღერა.

„ხათაბალა“ გამოსულა,
ეგ ზაფნება ყველასაო.
ჟურნალია უცნაური...
დელა, დელა, დელასაო.

ზოგს აცინებს „ხათაბალა“,
ზოგს შემთხვევს ბელასაო.
წაიკითხეთ „ხათაბალა“...
დელა, დელა, დელასაო.

ვიციტ, ყველას რომ არ მოსწონს:
და აუტყებს ხველასაო.
ჩვენ კი მაინც დავამღერებთ
დელა, დელა, დელასაო.

ვისაც უნდა დაიბაროს,
უნდა გვთხოვდეს შევლასაო.
გამოგზავნოს ფული მალე
დელა, დელა, დელასაო.

ხათაბალელი.

ქმარმა იფიქრა: ხომ ვხედავ
სიტყვით არა ჰყავს ტოლიო,
გამოვცდი, ვითომც მოვკვდები
რას იზამს ჩემი ცოლიო.

წამოწვა თავის ლოგინზე
და თავი მოიავადა,
ვითომც უზომო სიცხე აქვს
კრუსუნებს სულ ერთ თავადა.

ცოლი შესწუხდა მეტის მეტ
თავს აფენს ცივსა ტილოსა,
სიტყვითაც ეალერსება,
თან აუმაღლა კილოსა:

— ჩემო ძვირფასო, უშენოთ
მე აღარ მინდა თავიო,
შენა ხარ ჩემი ოცნება
და ჩემი სალოცავიო.

მაშინვე თავსა მოვიკლავ
შენ რომ შეგემთხვევს რამეო,
გამხნევედი, ძალა მოგივა
ცოტა საჭმელიც ჰამეო.

ცოლი ოთახში გავიდა
საჭმელის მოსატანათა
ქმარი ლოგინზე დასტოვა
მარტოცა ცოტა ხანათა
და რომ უკანვე დაბრუნდა
თავზე დაეცა მებია
ხედავს: თავის ქმარს ლოგინზე
კისერი მოუგრებია!

საჭმელი „სტოლზე“ დაწყო,
ქმარის საშველად გაიქცა,
მივიდა ხელი მოჰკიდა,
წამოაყენა— წაიქცა.

ისევე გადმოაბრუნა,
ბევრი ანჯღრია, აქანა,
მაგრამ ძირს გდია უსულოთ,
ერთიც არ დაიქაქანა.

ცოლმა იფიქრა: მომკვდარა
საწყალი ჩემი ქმარიო
და აწი რაღას უშველის
ტირილი ცრემლის ღვარიო.

ვიკვილო— ხალხი მოცვივა,
მე კი მშიერი ვრჩებიო,
მოდირ ჯერ სადილს მივირთმევ
ერთს მაგრათ გამოვძღვებიო.

მიუჯდა „სტოლსა“, სადილი
მიირთვა ღაზათიანათ.

ერთი დედალი საკუთრათ
შექება თავის წუნთანათ!

სტაქანში ღვინო დაასხა,
მაგრამ კი ველარ დალია,
რადგან ვიდაცა სტუმრები
მოდინ მოჰკრა თვალია,

ღვინო ბუხარზე შემოდგა **ქრონოსული**
და თმი გადაიწეწა, **ბიზლიოთიქა**
საშინლათ მორთო კივილი
და ყველაფერი მიღეწა:

— ქმარი მომიკვდა ძვირფასი,
დღე გამითენდა შავიო,
აწი რათ მინდა სიცოცხლე
უნდა მოვიკლა თავიო.

სტუმრებმა დაანუგეშეს:
— ვის არ მოსვლია ესაო,
ხან ცოლი კვდება, ხან ქმარი,
უფალმა დააწესაო.

მაგრამ ცოლი კი იძახდა:
— სიცოცხლე არ მსურს არაო,
მეც უნდა მასთან წავიდე
საიქიოსკენ ჩქარაო.

ქმარმა იფიქრა ხუმრობა
მგონი რომ აწი კმარაო
და ლოგინიდან წამოდგა:
— აგრე რამ გაგამწარაო!

ნუ გეშინია ძვირფასო,
აქა ვარ შენი ქმარიო,
შენმა მოთქმამ და სიცოდევმ
ხომ გამაცოცხლა მკედარიო,
მარტო ქათამი რას გიზამს
და კვერი გამომცხვარიო,
თუ რომ სიკვდილი შემატყვე
უნდა დაგეკლა ცხვარიო.

სტუმრებსაც მოიცილებდი,
რომ ჩაგეკეტა კარიო
(ეხლა კი იმხიარულე,
გიტარა დაუკარიო).

აი იქ, ბუხრის თაროზე
სტაქანში ღვინო არიო,
გულს დაგიაშებს ცოტათი,
დალიე, გადაჰკარიო.

გურიანთელი.


„ვეილი საფლავს“.

(ამბავი)

I

პროხორ პეტროვიჩმა დააპირა თავის
სამშობლოში წასვლა, ხელად გაჰყიდა
რაც ებადა— ბარგი-ბარხანა, ის ის იყო
უნდა გასულიყო კიდევ სახლიდან, რომ
უცებ შედგა— შეფერხდა, თითქო რაღაც
მოაგონდაო.

— რომ მივდივარ სად მივალ, დაეკით-
ხა თავის თავს პროხორა: ახლად გარდა-
ცვლილ ცოლს ვიღას ვუტოვებ! ეგ ხომ
ღალატი და უსინდისობა იქნება ჩემ
მხრივ!? არა, არა: საფლავიდან ამოვი-
ღებ, თან წავიღებ... საფლავსაც გავყიდი...



ქმარის მოყვარული ცოლი.

(ხალხური იგავი)

ცოლი ეტყოდა თავის ქმარს
მალმალ გასაგონათა:
მიყვარხარ ჩემო ძვირფასო,
ქვეყნიერობის წონათა.

შენ რომ არ მყავდე, მაშინ ხომ
ველარ ვიცოცხლებ წამითო,
ვისთან გავივლი მე დღისით,
ან ვინ მომალხენს ღამითო?



პროხორამ არც აცია, არც აცხელა და ხელად ამნაირი განცხადება გამოაცხო: „მალე მომავალში რუსეთში ახარგვის გამო, ვყიდი იაფად ჩემ მიცვალეული ცოლის საფლავს, იგი ეკლესიის გვერდით მდებარეობს და... ახალ „მოსაკუთრეს“ არ მოაკლდება მუქთათ წირვა-ლოცვა-გალობა... ყოველ შემთხვევაში თანახმა ვარ: უსასყიდლოთ დაუთმო საფლავი, თუ რომ მყიდველი იკისრებს ჩემ ცოლის საფლავიდან ამოღებას და გამოგზავნას ჩემ სახელობაზე ქ. კურსკში“.

— სიყვარულიც ამისთანა უნდა, — თანაც თავს იქებდა პროხორა: აქ ვის უნდა დაუვდო, ვინ იცის რომელი ავარა მოუწვევა გვერდით!? არა, ანდერძს არ გაგვტყავ... პატიოსან ცოლქმარს შეშვენის ქირს თუ ლხინში ერთათ ყოფნა..

II

მეორე დღეს მკვდრების და საფლავების „პოდრიჩიკმა“ მიკიჩამ თავი დაუკრა პროხორას:

— მე ვიღებ თქვენ ცოლის საფლავს, სად გინდა გამოგიგზავნო? — ხელათ მოურიგდა მიკიჩა პროხორას: წამო მაჩვენე საფლავი, ორი კვირის განმავლობაში მოგივა შენი ცოლიო...

— ძალიან კარგი... მეც ეგ მინდა... მიკიჩა ანგარიშის კაცი იყო: საფლავი თავისთვის კი არ უნდოდა, სარფა უნდა ენახა: სარფა კი ის იყო, რომ პროხორას ცოლის ამოღება საფლავიდან და გაგზავნა სულ რამდენიმე ასი მანეთი და უჯდებოდა, საფლავს კი რამდენიმე ას თუმნათ გაყიდდა, მუშტარიც ჰყავდა: ბევრს სიძვირის გამო ვერ ეშოვნა საფლავი, ისიც საყდრის გაღავანში... მუქთა წირვა-ლოცვით...

III

პროხორა კურსკში თავის „ცოლის“ მოლოდინში იყო და მიიღო კიდევ ამანათის უწყება... ცმუკავდა სიხარულისგან, პატარა ქელეხის თადარიგსაც კი შეუდგა; ახლო-მახლო ნაცნობ-ნათესავები დაიპატიჟა, მღვდელ მთავარიც ჩანდნენ, მგალობელი გუნდით...

აგერ ცხედარიც მოასვენეს და ქირის-სუფალი პროხორაც დახვდა...

— „პაკი-პაკი“ შემოსძახა ანაფორიანმა და „ვეჩნაია პამიატ“! მისცა ბანი გუნდმა...

პროხორას ცრემლები გადმოსცვივდა... — გამიშვით, ერთხელ კიდევ მაინც ვეამბორო ჩემ „საყვარელ მეუღლეს“ — გლოვობდა პროხორა: ახადეთ კუბოს თავი, დამანახვეთ... ვა ჩემ მოსწრებას...

პროხორას ხათრი არ გაუტუნეს — ახადეს კუბოს თავი... პროხორას ენა დაება, მუხლები მოეკეცა... შეშინებულმა ერთი და დაიბლაღლა:

— ვა! ეს ვინაა?!.. ეს რა ამბავია?! მნახველებსაც გაუკვირდათ. კუბოში ვიღაც უღვაშებ გაბზეკილი კაცი იწვა...

— დახე იმ შეჩვენებულ მიკიჩას — მოდი და კაცი იცან, — ბრაზხელ სქდებოდა პროხორა: ნეტავ მიკიჩას ჩემი რა ჯავრი სჭირდა?!

მაგრამ მალე მიკიჩას დეპეშამ პროხორა დაამშვიდა:

— ბოდიშს ვიხდი ბატონო პროხორ, ეწერა დეპეშაში შენი „ცოლი“ რკინის გზას შეცდომით ერევანში გაუგზავნია, ეგ ვიღაც სპეკულიანტი კიდევ თქვენთან... დიახ, თუ არ დაგიმარხია ჯერ ნუ დამარხავ... როცა ცოლი მოგივიდეს ეგ „ამანათი“ ერევანში გაგზავნე...

— ჰო! ნეტავ ფეხი შომტებოდა და კავკასიაში არ წავსულიყავ, — თავის თავზე მოსდიოდა ჯავრი პროხორას: ახი კია ჩემზე... მეც ხომ ჩემი სამშობლო მაქვს, ნეტა რა მრჯიდა?! არა, არა! ვისაც მოსვენება უნდა ყველა თავის მიწა-წყალზე უნდა ევდოს...

დუშელი ვანო.

პატარა ფელეტონი.

არ უნდა მტკიცება, ზოგიტელას ლისტი რომ ჩვენში ბევრია ცრუ სოციალისტი.

სიტყვების რახუნით ქვეყანას ასწორებს, საქმით კი იტენავს ჯიბეებს და ტორებს.

კრებაზე გამოვა, ენას წააგრძელებს, ხალხს მხსნელი ჰგონია აუშვერენ ხელებს

და დასვამენ საღმე საქმის მეთაურათ (თითონ კი არა ღირს ეხლანდელ შაურად)

მე მახსოვს „მგელ-კაცა“ საქმის მეთაური (ჩუმათ ვიტყვი, ვინმემ კი არ მიგდოს ყური),

იმან სულ შექამა ხალხის საკუთრება! დღესაც „მადამებთან“ არშიყობით თვრება!

თუმცა ცოლიცა ყავს ჯვარ-ვადაწერილი, დღეში მოსდიოდა ორმოცი წერილი

ზოგი კოცნას სთხოვდა, ზოგი ჩაკონებას, (ქალგესაც შექამდა რომ მიგვეშვა ნებას).

ფფროსთან უჩივლეს ერთხელ დაითხოვეს, (მაშინ ლამაზებმა ცოტა ხნით იგლოვეს),

მაგრამ მეორე დღეს გამართა ვახშამი (უფროსს პატივი სცა, არ გეგონოთ ქრთამი)

ისევ დაიბრუნა მან თვისი ალაგი (და დღეს გამაძლარი დადის „ამხანაგი“).

მე ვიცი „ხვანია“ ლილიპუტი, გლახა, (საქმით არამზადა, სიტყვით კი — რახრახა)

რომ კითხო — ერთობა იმან შოიყვანა, (ჯიკვზე რომ შეცოცდა და კბილი დახვანა)

პრაპორჩიკი იყო, კამისარი ვახდა (თურმე მანც მოასწრო ბლომათ ტყავის ვახდა)

და დღეს ასიანებს ხელში ათამაშებს, (ტანზე ქურქსა იცვამს, ფეხებზე — გამაშებს!)


ბევრი სხვა ქონებაც მიალაგა შინა, რისთვის არ კითხავენ როგორ შეიძინა?!

უნდა ასეთები ირვის შეარჩონონ, (მეკი ჩემსას ვიტყვი, თუნდაც რომ იწყინონ).

თუ გვინდა გამტკიცდეს ჩვენში სამართალი, უნდა ვსთქვათ საქვეყნოთ რაც არის მართალი.

ავი კაცი ყველგან უნდა დაიკოცხოს. (ასეთებს მათრახი ყველამ უნდა მოსცხოს).

გშმაკის ფეხი.



ინგლისელი. რა ვქნა რომ ასე ტყუილ უბრალოთ იღუპება ამდენი სიმდიდრე და მოხმარა უნდა, თორემ შენ თითონ იცი რამდენათ სასიამოვნოა ჩემთვის შენს დინგზე ამბორი.



ინგლისელების „დაბები“ საქართველოში.

დაღალ დაღუას სიმღერა.

დაღალ დაღოს ერთი შვილი ჰყავდაო,
და ის შვილიც დაღოს არა ჰგავდაო,
შვილი დაღოს მამას ეძახოდაო,
დაღოს ცოლი გულში იცინოდაო...

დაღოს შვილსა სხვა მამაცა ჰყავდაო,
სწორედ ისა, რომელსაცა ჰგავდაო;
ბავშვი იმას „ძიას“ ეძახოდაო,
დაღოს ცოლი გულში იცინოდაო*)

ეს ექსპრომპტი, რომელიც ქალაქში სიტყვიერად არის გაფრ-
ცვლებული ეკუთვნის ბ.ნ არტემ ახნაზაროვს.

(უპლგ. ლანჩხუთის ძველ ნაცნობებს)

ერთხელ ერთს რომის პაპსა
მოუნდა ქათმის ქამა,
დაჯდა ბევრი იფიქრა
გადასწყვიტა, — იაშა.

მღვდელ-ღიაკენებს აუწყა:
თხოვნა მომისმინეთო,
ხვალ ქათმისა ნათელა მაქვს,
მობრძანდით, ილხინეთო.

მეორე დღე გათენდა,
წვეულნი შეიკრიბნენ,
რადაც საკვირველ ამბავს
გულის ფეთქით უცდიდენ.

წამოდგა დიდი პაპი,
სიტყვა წარმოსთქვა ტკბილი —
დღეს ქათამის მონათვლა
არის ჩემი სურვილი.

თუმც ყველას გაუკვირდა,
წინ ვინ აღუდგებოდა?
ემბზიცა მზად იყო
და წყალიცა თებოდა.

სთქვა სახელიც მზათა მაქვს
შესაფერი, რჩეული, —
ლობიოს ჯვარქმევ ქათამს,
დაეთანხმენ წვეული.


ამას შემდეგ პაპი კი
კმაყოფილი სტკბებოდა,
დაკანონდა — მარხვაშიც
ქათმის ხორცით ძღებოდა.

მაგრამ სახელის შეცვლამ
არსებით რამ შესცვალა?
ლანჩხუთის მოქალაქეც
ტყუილათ არ ეწვალა?

ქალაქათა მონათვლამ
განა რამე შესძინა?
თემზედ მეტი უფლება
ან გარე აქვთ, ან შინა?

ხარჯი ცდენა ბევრი აქვთ
და დააკლდათ ძილია,
მხოლოდ მომნათვლელები
მეტად კმაყოფილია.

ვითომ ფართი-ფურთოზენ
ლხინობენ და სტკბებიან.
ლობიოს სახელითა —
ქათმის ხორცით ძღებიან.



ქიმიკოსის ბურუსი.

ქიმიკოსი ჩაფრინდა—შვილი, მოსწყურებოდა ძალზე ნუნუა; იქ უკვე დახვდა პირლიაშვილი პირში ეჭირა ტიკის ძუძუა.

შუბით შეხვდა და მოტრიალდა, აგერ კედელთან ლანდი ძონძების მივიდა... თვალ წინ აუსრიალდა ლურჯი მირაენი ყლაპიძეების.

სთქვა: აქ უჩემოთ ეს კოშმარები როგორ მორთულან ძმაბიჭ—ვერლენად... ესენი თურმე აქ ნეტარებენ,

მეკი გამტლიკეს ცრუბენტელ ენად... დაშხამულ სახით ტიკს მიესწრაფა, ფეხი მაგრათ ჰკრა გალემილის პავლეს, დაფს შეერია... თვით მიეწაფა... ვინ გამოიციან ის რამდენს დალევს?! ბერიკა.

კურული სცენა.

ორი გურული სოფლელი ქალი.

— რას შობა ბეჩა დესპინე შენი ავათ-მყოფი? ღმერთმა ისე მოგირჩინოს შენი გული რომ გთხოვდეს და მისი შვილის-შვილის გვირგვინზე გაკოცნიოს, ხომია პაწეი მოხედული?

— ღმერთმა ყორიფელი კაი დაგიმედოს ჩემო მატრონე, ჩემს დღეში ღმერთმა, ახლა მერომ დღეი მადგია თათარი და ჟრიეც ნუ ჩაადოს, თვარა ჭრისტიანს რავა გევიმეტებ.

— რავა რას ჩივა დობტურები?

— რას ჩივა და მათ ამოგდებას და დაფსებას, ერთი რომ წამალს გამუშუწერს მეორე გადადგამს, მეორე რომ გამუშუწერს, მესამე დეიწუნებს და ქე ვარ ასე გაწამაწიაში. იგი დღეი რეიზა არ დეიქვა რა დღესაც აგი დობტურობა მეიგონეს, რავა უწინაც ქე ვიყავით, მარა სად იყო ამდენი ავათმყოფობა ახლა რომ არის: აგი მალლარიოაო, იგი კატარიოაო, კუჭში და გულ-ბოყვში ან მალლარს რა უნდა და ან კატარს. კატის ჭირი გაერია დობტურებს.

რავაც იქნებოდა, ნასესხებით თუ ნავალე-ბით შინ წარმობას კიდევ გუშუძლებდა კაცი, მარა ახლანდელი დობტურების გადამკიდე კატის კნუტსავით უნდა ათრევდეს მის ავათ-



ბურჟუაზიის მდგომარეობა ბალშევიკების ზოლოდინში.

მყოფს ხან აღმა და ხან დაღმა. ერთი გეტყვის ზღვაი უნდაო, მორე გეტყვის ფთაი მუარჩენსო, მესამეს გაასინჯვებ ელექტრიაა მაგის წამალიო, ფერშალს უჩვენებ და ერთი გეტყვის კანს ქვეშ უნდა ლეფსებოო, მორე იტყვის რაცხა დაზელაა, მასაფი ქვია მეტი აფერი არ უნდაო. დაზელა ღომს უნდა თვარა გასათხოვარი ციციას დაზელა ვინ მისწრა და გეიგონა, მარა იმფერი დროი და ბორჯი დაგვიდგა, რომ ახლა ყორისფელს გეიგონებს კაცის ყური. მე უბედურმაც ავეყვი ქვეყნის თქმას და ვინც რა მითხრა და მირჩია, ვითამ გულს არ ჩევიკლებ მეთქი ყველაის გევიგონე: ერთმა რომ მითხრა კამა თაგმა დობტურმა, ორი გზობა აზღვავეო, მეც დუშჯერე—ჩევიყვანე ქობლეთში, მევიცადე სამ დღეს. დღეში რა გიქირს, რომე ოცდა ათჯერ მაინც ჩაქვექელიდი. რამდენი დამეხარჯა ვინ იცის, მარა აფერი არ მოუხთა, აბაიქნება. ჩემი იღბალია ზღვამა არ გასკრა, მარა იქნება ფთამა მაინც მუახედვოს პაწეი მეთქი, არც იგი ჩევიკელი გულში, იქინეიც წევიყვანე. იმისანაი წვიმა მოგვეწია გზაში. იმისანაი, რომ ცაი ფეხათ ნევიდოდა ძირს, ევიტანეთ სული კპილით ფთაზე... ა ციციავ, ა ნენავ, დააფჩინე პირი, სულ დაფჩენილი ქონდეს მეთქი. ყლაპე აი ჰაერი მადლობა ღმერთს აფთიაქში რომ არ იყიდება თვარა ფთის კი არა ლონწყოისას ვინ დაგვანებებდა ჩვენ მეთქი. რაცხა პაწეი მოხედვა ვითამ შეეტყო, პაწეი პირი გიეხსნა, ცაზე მუატორტმანე ხელი სიხარულით, ვიფიქრე ბარედმაი აღარც ლეფსეფს მივაკლევ მეთქი, ერთი ხუთი გზობა ქე გუშუკეთა ფერშალმა კანს ქვეშ. ამასობაში ერთი კვირეც გევიდა, ფთობაც დეილია და ქე წამოვიყვანე შინ. ახლა ქეა კიდევ ისე ვეფერ მოხედვას ვერ ვატყოფ—ქე ვიცი კაი არ მჭირს მარა ყორიფელი რომ დაგავირაო ერთი თფილის-ში უნდა ევიყვანო ერთი გომართელს უნდა

უჩვენო და რაცხა ელექტრიაო იმასაც იყოფურს აქებენ.

— მაგი კაია და ღვითთ კიდევ წაადგება, მარა ვითამ რა გიქირდა ერთი მკითხავიზაც კევითხვიებია, თუ რამეს წაადგებოდა თვარა ვარეს ხომ არ უზამდა.

— თუ შენში ქალობაა და ნუ გამამულავნეფ და არც მაგი დამიკლია: ჩუმათაი არეკაცმა გამიგოს და არ გამცინოს მეთქი კიდევ ვაკითხვიე, თავზეც შემუარე, ხატის პირის ნაბანიც დავალევიე და კიდევ გამუაცოცვიე, მარა მაინც აფერი საშველი არ დაადგა... მშვიდობით ჩემო მატრონე, მადლობელი ვარ რომ გულს გეწვის.

— ღმერთმა მშვიდობა მოგცეს და შენი უნდომი მოგირჩინოს და ისე დიდი უკაცრავათ ვბრ ბეჩა, მარტუაი ენის რაკუნს რას გააკეთებს და საქმით კი ვეფერი წაგადექი, თვარა ისე ღმერთმა კი იცის გულს კი მეწვის იცოდე. (მოშორდება და თავისთვის მილაპარაკობს): ახტაჯაი და ალანცარიე ყველაი გამომიწყტა შენიც და სხვისიც, დობტურებთან რას იხარჯები, ჩემო დაია ტყულათაი, აბუჩეროქას გაასინჯვე და ქე დეინახავ რაც სჭარს შენს კლას გათავებულ ციციას. პიტნა.

ურ-მოკრული საუბარი.

ვირმა სწორედ მაშინ დაიყოყინა, როცა კაპასი ცოლი ფანჯარასთან მივიდა.

— გესმის, გიორგი! შენი ნათესავი ყვირის,—უთხრა ცოლმა ქმარს.

— მართალია!—უპასუხა ქმარმა,— მხოლოდ ეგ ვირი ცოლის მხრივ მენათესავებოა!

სახელდახელო ლექსიკონი*).

(ვაცხადებ ბ-ნ „განის“ საყურადღებოთ, რომ მისი „სახელდახელო ლექსიკონიდან“ მე მხოლოდ მარტო სიტყვები ვისესხე, ხოლო ამ სიტყვების აღსნა საკუთარი ჩემი ფართო შემოქმედებით ნიჭის ნაწარმოებია და პლაგიატობას აქ აღვილი არ ჰქონია).

ავტონომია—თვით მართვა ე. ი. გამართვა. ამ სიტყვას მრავალი მნიშვნელობა აქვს, შეიძლება გამართვა კეტის, მათრახის, (ზურგზე ან ტანის რომელიმე ნაწილზე) წარმოდგენის, მწერალთა დილა საღამოს, სადილის და ვახშმის (საუზმეს სახეში არ ვღებულობ, რადგან საუზმეს გამართვა იშვიათათ ხდება). არის მეორე ამის მგზავსი სიტყვა ავტოკეფალია ე. ი. ანტონ კეფალია, ეს სიტყვა ორათ იყოფა ანტონი და კეფალი. მოგხსენებთ, რომ ანტონი არის კაცის სახელი, ხოლო კეფალი თევზის. ერთი შეხედვით ძნელად გეიგებს ადამიანი რა გამოიხატება ამ ორ ერთათ შეწყებულ სიტყვიდან, მაგრამ თუ ოდნავ ჩაუკვირდებით გაიგებთ, რომ სულ უბრალო რამ არის ანტონ კეფალი ე. ი. ანტონს (სულ ერთია მღვდელი იქნება თუ ერის კაცი) უყვარს კეფალი თევზი.

ავტარული —საკითხი იმის შესახებ თუ ვინ უნდა ეპატრონოს სასაფლაო მიწას და როგორ უნდა ისარგებლონ. ეს ერთად ერთი საკითხია, რომელსაც არსად და არასდროს არავითარი შეხლა შემოხლა და უსიამოვნება არ გამოუწყვევია. იქ ყველა კმაყოფილია თავისი „ნორმით“ და არავითარ მახინციებს არ ახდენს, რომ თავის შვილებს, შვილისშვილებს და მამიდაშვილებს ცალ-ცალკე გამოუყოს მიწა, მერე ისევ ერთად შეაერთოს და ისევ ძველ მემამულეთ დაჩქეს. ამ საკითხის შესახებ არსებობს კანონი, რომელიც ეხება მკვდრების ჰირსუფლებს, რადგან თვით მკვდრები კანონს გარეშე არიან გამოცხადებულნი.

ანარქიზმი — ეს სიტყვა წარმოიშვა სიტყვა რქიდან, ნიშნავს რქენას. მეცნიერების გამოკვლევით რქენა გარდა ხარისა და ძროხისა შეუძლია სხვა ცხოველებსაც მაგალითად კაცს. ამისთვის საჭირო არ არის კაცს თავზე რქები ჰქონდეს, საკმარისია მხოლოდ მაგარი

თავი, სულ ერთია თუ გინდ სულ მოტვლებილი იყოს იმავ მეცნიერების გამოკვლევით ეს ავარტმყოფობა პირველათ გამოსჩენია ვილაკ ქალს, რომელსაც სახელათ ერქვა ანა, ამიტომ ამ ჩვეულებას დაერქვა ანარქიზმი ე. ი. ანა ირქინებაო აქედან ადვილი გასაგებია თუ რას ნიშნავს ანარქისტი, კაცი ან ქალი, რომელიც წაღმა უკუღმა ყველას რქენს.

ანექსია—ე. ი. აღექსია. ზებირ გარდმოცემით ძველათ გურიაში თურმე სტოვობდა კაცი ვინმე აღექსით წოდებული. ამ აღექსის საარაკო ჩვეულება ჰქონდა: როცა ღამით მის მეზობლებს ჩაეძინებოდა და მათი ხვრინვის ხმა სამოთ წვდებოდა აღექსის ყურს ის მყისვე ლოგინიდან წამოიჭრებოდა, მიიბარებოდა მეზობლის ღობესთან, მოსთხრიდა საზღვრის ქვას, გადაიტანდა მეზობლის ეზოში და იქ ჩაფლავდა. ამ გვართ ის იპარავდა რამდენიმე გოჯ მიწას. ბოლოს მეზობლებმა დაიჭირეს და საქვეყნოთ შეარცხინეს. ამგვართ სხვისი ადგილის მოპარვას და მითვისებას დაერქვა აღექსია, ანუ ანექსია.

ანტაგონიზმი—წინააღმდეგობა, მტრობა. ეს სიტყვა წარმოსდგება სიტყვა ნიგოზიდან. ზოგი ნიგოზი მაგარია და ზოგი ადვილი გასატეხი. ორივე შემთხვევაში წინააღმდეგობა და მტრობაა საჭირო, რომ ნიგოზი ვასტეხო, მაშასადამე ანტაგონიზი ნიშნავს მტრობას, წინააღმდეგობას ნიგოზის შესახებ ე. ი. კაკალი — ნიგვზის დამტვრევას.

ასოციაცია—კავშირი. ე. ი. რომ შეაკავშიროთ სიტყვა ასი და ოცი გამოვა ას ოცი. მკითხველს გაუკვირდება რაღათ მიუკერებიათ ამ სიტყვისთვის ბოლოს ეს რაღაც „აცია“ ე. ი. რატომ ასოციაცია და არა ას ოცი. ერთ წუთს წარმოვიდგინოთ, რომ თქვენ თან მისდევთ ას ოცი ვაშლით ან მსხალით დატვირთულ სახელარს, თქვენ გზაში შემოგხვდათ ვინმე და გეკითხებათ რამდენი მსხალი მიგაქვთ ან ვაშლიო, თქვენ უბასუხებთ ასოცი, ამ დროს სახედარი შეჩერდა, თქვენ ჯოხი შემოჰკარით და „აცია“ მიადახეთ, მგზავრი აკავშირებს ამ ორ სიტყვას და გამოუღის „ასოცი აცი“ აა! სწორედ ასეთმა შემთხვევებმა დაბადა ეს სიტყვა და მისი მნიშვნელობაც არის კავშირი, შეკავშირება.

აუდიტორია—არის მეორე ამგვარი სიტყვა „აუდომუქია“. აუდომუქია სულ სხვაა და აუდოტორია სულ სხვა. ეს სიტყვაც ორი სიტყვიდან შესდგება და ერთათ „შეასოციაცებული“ ე. ი. შეკავ-

შირებულია: აუდო ანუ ადება, ამოდება, ადება და ტორი ე. ი. ორივე ხელის გული. პირველ შემთხვევაში ნიშნავს მუქის ამოდებას, მუქით ადებას და მეორე შემთხვევაში ტორით. ე. ი. ორივე ხელებით, ამის და მიხედვით არის სხვა და სხვა თანამდებობის პირი, სხვა და სხვა მოხელე (ეს ძველათ ყოფილა, ეხლაც არის და მუდამ იქნება) რომელიც დროს და გარემოების მიხედვით ზოგი მუქით იღებს ქრთამს თუ სხვა რამეს და ზოგი ორივე ხელებით ე. ი. ტორით. ამ ბოლო დროს მეტათ გავრცელდა „აუდოტორიზმი“.

ბლოკი — ე. ი. წითელი, ქორთა ბოლოკი, რომლის მოსაწყვეტათ და პირში ჩასადებათ საჭიროა სამი თითის შეკავშირება. ბლოკი, ბოლოკი, ასოციაცია ერთი და იგივე მნიშვნელობის სიტყვაა და ნიშნავს კავშირს, შეკავშირებას სულ ერთია ეს თითები იქნება თუ სხვა რამე-ბელა.

მატარებელი.

ზაფხული უკანასკნელ ანგარიშს აბარებდა შემოდგომას... თბილისიდან დაძრული მატარებელი მირახრახებდა ბათუმისაკენ და თან მიჰყავდა უთვალავი მგზავრები.

ბაქანზე ვიდექი, მატარებლის ბორბლების რახრახს ხმას ვაყოლებდი, უღარდელათ ვლიდინებდი და თან ვსტკებოდი სხვა და სხვა თვალწარმტაცი სანახაობით. მატარებელი თავდავიწყებით მიექანებოდა წინ. უცებ დაჰკვივლა და ცოტა ხნის შემდეგ ხალხით სავსე სადგურზე გაჩერდა.

სხვებთან ერთად, მეც ვადმოვედი მატარებლიდან, პატარა მეხილე ბიჭიდან, წითლად დაბრაწული ატმები ვიყიდე და ის იყო კვლავ ვაგონში ვაპირებდი შესვლას, რომ ამ დროს ვილაკამ შემაჩერა — სილოვან გამარჯობა!

— ისილორე! — სიხარულით წამოვიძახე მე და ჰაღარა წვერებით მოსილ საყვარელ მოხუცს მივესალმე. სიდან ბ. ისილორე, როდის ჩამობრძანდით, ხომ კარგათ, აკი თქვენ გადასახლებული იყავით? სიხარულით ვეკითხებოდი მე.

— ამ დღებში ჩამოვედი, მაგრამ ამაზე შემდეგ, შენ უნდა მომეხმარო, საქმე ცუდათ არის.

— რა ამბავია? რა მოხდა? შევეკითხე ვაოცებით.

— პეტრე დაიჭირეს ბაქოში და ახლა ეანდარმებს მიყავთ ბათუმში, იქ უნდა გაასამართლონ, საქმე ძლიერ ცუდათ არის.

*) რადგან ჩვენი ჟურნალი მთლათ აქრულელებულია უცხო სიტყვებით, ამიტომ საჭიროთ დავინახეთ ხშირათ მოვათავსოთ სახელდახელო ლექსიკონი.



საქართველო
საქართველო

— როგორ ჩვენი პეტრე? ამ მატარებ-
ლით მიჰყავთ?

— დიახ, წინა ვაგონში ყავთ, სამი
ჟანდარმი ახლავს შეიარაღებული.

— მერე მე რა უნდა ვქნა?!

— შენ დატრიალდი და ვაგონებში
ინათხოვრე ნაცნობებიდან რევოლვერები.

— რევოლვერები?! მერე რევოლვე-
რები რათ გინდა? გაკვირვებით შევეკით-
ხე მე.

— ჟანდარმები უნდა დავხოცოთ და
პეტრე გავანთავისუფლოთ.

მერე ჟანდარმები ვინ უნდა დახოცოს
მეთქი მინდოდა მეკითხა ისიდორესათვის,
მაგრამ ამ დროს მატარებელიც დაიძრა
და მეც ვაგონის კარებს მივაშურე. სა-
შინლად ავირიე... ჩემი უღარდელი და
მხიარული მოგზაურობა, მოულოდნელათ
მწუხარებათ გადამექცა, გამოურკვეველ
მდგომარეობაში ჩავარდი. ისიდორეს აუ-
ცილებლათ უნდა დავეხმარო, პეტრე
უსათუოდ უნდა გავანთავისუფლოთ, მა-
გრამ, როგორ, რანაირათ!.. კარგი და
იზოვნე რევოლვერები, მერე ვინ უნდა
ესროლოს?... ცხადია მე და ისიდორემ—
გამიელვა თავში. აბა ეხლა მატარებელ-
ში ტერორისტების ძეხნის დრო ხომ
აღარ არის... პარტიის ბელადი, ამხანაგი
პეტრე განსაცდელშია, ის ჟანდარმებს
მიყავთ ბათუმში, ვინ იცის რას ვადაუ-
წყვეტენ... მე ვალდებული ვარ ის გა-
ვანთავისუფლო. შორს ფიქრები, შორს
სილაჩრე—თითქმის ხმა მალლა ვაჟაკუ-
რად წამოვიძახე მე და ვაგონებში გავს-
წიე ნაცნობების საძებნელათ, რომ გინდა
თუ არა სამი რევოლვერი მეშოვნა, რად-
განაც ისიდორეს თქმით ჟანდარმები სამი
იყო.

ორი ვაგონი ისე გავიარე, რომ ისეთი
ნაცნობი, რომელსაც რევოლვერი ჰქონ-
და არაფერ შემხვდა. ის იყო მესამე ვა-
გონში ვაპირებდი შესვლას, რომ კარებ-
ში მდგომმა ჟანდარმა შემომიბღვირა:

— ჰეი სად მიდიდარ? არ შეგიძლება!

უცებ შიშის ზარმა ამიტანა და კრინტ
დაუძვრელათ, უკან გამოვბრუნდი.

— იქ ყოლიათ პეტრე—გავიფიქრე და
ჟანდარმის დანახვაზე კვლავ საშინელი
სურათი წარმომიდგა თვალ წინ. ალბათ
ამ ჟანდარმსაც მოუწევს სიკვდილი. რამ-
დენჯერ გამიწილებია დედაჩემი ქათმის
დაკვლახე. დღეს კი ადამიანების სისხლი
უნდა დაედვარო... კაცი უნდა მოვკლა...
ერთისაგან ორი... მესამეს ხომ ისიდორე
დააწვეს... ვფიქრობდი მაგრამ ჩემი უბე-
ღურება ის იყო, რომ არ იქნა და არა
რევოლვერის შოვნა. ყველა ვაგონები

დავიარე, ნაცნობებიც საკმაოდ შემხვდენ
მაგრამ სახეირო რევოლვერი არ აღმო-
აჩნდა. ერთმა მათხოვა რაღაც თითის
სიგრძე, მარა ის გოჭის ფეხს უფრო გავ-
და ვინემ რევოლვერს. ვაი თუ ერთ-
ტყვიას არ დაყვეს ოჯახ დასაქცევი, მა-
შინ რას აპირებ... ან და კიდევ, ერთიც
ვნახოთ დაუმიზნე და არც კი გავარდა...
რას უშობი სირცხვილს!..

როცა შემდეგი სადგურის ბაქანზე ისი-
ლორე ვნახე და განუცხადე ვერაფერს
გავხდი მეთქი, ძლიერ დაღონდა. ამ დროს
მე წინა ვაგონის ღია ფანჯარაში თვალი
მოვკარი თვით პეტრეს, რომელიც იჯდა
ფანჯარასთან, მარჯვენა ხელი ფანჯრიდან
გადმოეყო და შეწუხებული სახით, ჩვენ-
სკენ გამოიყურებოდა. ცხადი იყო შეე-
ლას გვთხოვდა. როცა ჩვენ ვანიშნეთ
ვერაფერს გავხდით თქო მაშინ მან ხე-
ლით გვანიშნა, მუნჯურათ, რომ როცა
მატარებელი დაიძრება აქედან გადმოვბ-
ტებიო.

არ შეცთე, გაქანებული მატარებელი-
დან არ გადმოხტე, თორემ რამეს იტყენ
მეთქი, მუნჯურათვე უბასუხე მე.

მატარებელი დაიძრა. მე კვლავ ვაგონ-
ში მოვექეცი. დაღონებული ვიჯექი ჩემს
ალაგას და ფიქრებში ვართულს თანამგ-
ზაფრი რაღაცაზე შელაპარაკებოდა, რომ
ამ დროს ჩემს უკან ვილაცა შეგნიშნე,
უკან მოვიხედე, თავზე წამოგდგომოდა
საშიშარი გამომეტყველების წითური,
ახმახი ჟანდარმი, რომელიც ჩემს ლაპა-
რაკს ყურს უგდებდა; ჩემს შეხედვაზე
დაყლიპული ქრელი თვალები, მკაცრათ
შემომანათა და შემომიბღვირა.

- თქვენი ვინაობა?
- ვერმიცანიძე—მიუგე მე.
- გვიბოძეთ თქვენი პასპორტი.
- ინებეთ—მივაწოდე პასპორტი, რო-
მელიც უბის წიგნიდან აღოვიღე.

— უკაცრავად ეს უბის წიგნიც გვი-
ბოძეთ აქეთ.

— უბის წიგნთან თქვენ რა ხელი
გაქვთ?!

— ეს თქვენი საქმე არ არის, აქ გვი-
ბოძეთ—ხმის ამაღლებით მომმართა ეხლა
უფრო დაინტერესებულმა ჟანდარმმა.

— ეგ რა სია გიწერიათ აქ?

— ეს ჩემი მევალებების სიაა.

— ეს ციფრები რას ნიშნავს, მეკით-
ხებოდა ჟანდარმი და დაკვირვებით სინ-
ჯავდა თვითუღლ განაწერას. შემდეგ წიგ-
ნაკი გადმომცა და გადაჭრით მითხრა:

— ეგ პასპორტი თქვენი არ არის.

— როგორ თუ ჩემი არ არის, მაშ
ვისი უნდა იყოს?!—აუმაღლე მე და ჟან-

დარმს პირდაპირ თვალებში მივაჩვიე,
— აბა თქვენი პასპორტი. მე თქვენ
კიდევ მოგელაპარაკებით—მითხრა და გამ-
შორდა, რადგანაც ამ დროს მატარებე-
ლი სადგურს მიუახლოვდა.

ის იყო და ის, მე იმის შემდეგ ჩემი
ადგილიდან აღარ დავძრულვარ სანამ იმ
სადგურზე არ მივედი სადაც მე უნდა
ჩამოვმტარიყავი. ყოველ წამს მოველო-
დი ჟანდარმის მოსვლას; თან ყოველი
მატარებლის შეჩერება დაძვრის დროს
შიშის ზარი მიტანდა: აი ეხლა გადახ-
ტება პეტრე ფანჯრიდან, იგრილებს
რევოლვერები, გააჩერებენ მატარებელს
და ვაი თუ ჟანდარმის მაგიერ პეტრე
ენახე სისხლში მცურავი მეთქი, მაგრამ
საბედნიეროთ მატარებელი უკვე მშვი-
დობიანად გავაცლეთ ბათუმისაკენ ჩვეუ-
ლებრივი რახრახით და ხმაურობით.. მე
კი უკვე ეტლში ვიჯექი და მივექანებო-
დი ქ. ო-საკენ, მაგრამ ჩემი ფიქრები
კვლავ მატარებელს და პეტრეს ფანჯარას
მისდევდა თან..


მესამე დღეს, გაზეთების ფურცლებზე
სასიხარულო ამბავი ამოვიკითხე: „ქ. ბა-
თუმის საქონლის სადგურზე, ჟანდარმებს
ხელიდან გაუსხლტა ტუსალი პეტრე №
და სიბნელეში უგზო უკვლოდ მიიმალა.
პასუხის გებაში მიცემული ჟანდარმები
თბილისში ჩამოიყვანეს და მეტეხის ცი-
ხეში მოათავსეს.“

და მაშინდელი სიხარული გამიათკეცდა
მე, როცა ამავე გაზეთის ქრონიკაში იმავე
პეტრეზე შემდეგი წავიკითხე:

„თავისუფალი და დამოუკიდებელი სა-
ქართველოს პირველი მინისტრი პეტრე
№-ლი, საკუთარი მატარებლით, სახელ-
მწიფო საქმეების გამო, ბათუმში გაემგ-
ზავრა“.

მე შევადარე ამბ. პეტრეს ეს ორი
მოგზაურობა ერთმანეთს და გამარჯვე-
ბულ პეტრეში დემოკრატიის გამარჯვება
დავინახე. მე ველოდები მესამე გამარჯ-
ვებულ მოგზაურობას განთავისუფლებუ-
ლი ჩვენი ბათუმისაკენ.

„სამებით არის ღმერთი...“
ს. ვერმიცანიძე.





ოსმალეთის მდგომარეობა მოკავშირეთა ნოტის წარდგენის შედეგ.



საოხუნჯო, კარიკატურებიანი ჟურნალი

„ხ ა თ ა ბ ა ლ ა“

მასში დაიბეჭდება მხოლოდ სახათაბალო მოკლე წერილები.
 მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მიმართულების ოხუნჯ მწერალს, თუ მისი ნაწერი საქართველიანათ შეეხება რაიმე უკანონობას.
 ყოველი წერილის პასუხის მგებელი არის თვით ავტორი. რედაქცია ავტორის გინაობას საიდუმლოთ ინახავს, ხოლო თუ რომელიმე ავტორი შეცდომაში შეიყვანს რედაქციას და ტყუილ ცნობას მოათავსებს შიგ, როცა ეს გამოირკვევა კულტურული საშვალებით, იმ შემთხვევაში რედაქცია საჯაროთ რიცხავს ავტორს თანამშრომლობიდან.
 „ხათაბალას“ რედაქცია სთხოვს ქალაქისა და პროვინციის თანამშრომლებს, მოგვაწოდონ როგორც წერილები, ისე საკარიკატურო პირების სურათები და დახატული კარიკატურები.
 მისამართი: სტამბა „სორაპანი“, თეოფილე ბოლქვაძეს (ხათაბალასათვის).